GEORGIAN INSTITUTE OF PUBLIC AFFAIRS

GIPA
In hoc signo vinces

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება : პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი/PhD in Political Science

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 60 კრედიტი.

სწავლების ენა: ქართული

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: დოქტორანტურა

პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი: ბაკურ კვაშილავა
პროგრამის ადმინისტრაციული ხელმძღვანელი: ნათია ჭიღვარია

პროგრამის მიზანი:

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის მიზანია აღნიშნული დარგის განვითარება, კვლევის ხარისხის გაუმჯობესება და ახალი ცოდნის შექმნა დარგის პოპულარიზაციის ხელის შეწყობის მიზნით. ასევე მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება პოლიტიკის მეცნიერებაში კვლევის და სწავლების მიმართულებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, ანალიტიკური კვლევითი ცენტრებისთვის და სხვა ორგანიზაციებისთვის, რაც მნიშვნელოვანია აღნიშნული სფეროს შემდგომი განვითარებისთვის.

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის მიზანია:

- პოლიტიკის მეცნიერების სფეროში არსებული ცოდნის გაფართოება დარგის უახლესი მიღწევების საფუძველზე, ინოვაციური, თეორიული და/ან მეთოდოლოგიური ხედვის შემოთავაზებით, სფეროში არსებული აქტუალური საკითხების სისტემური და კრიტიკული გააზრების ხელისშეწყობა, ანალიზი და შეფასება ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მისაღებად. ახალი ცოდნის გენერირება, რაც გულისხმობს მაღალი ხარისხის სამეცნიერო პროდუქტის შექმნას ახალი კვლევითი ან ანალიტიკური მეთოდების ან/და მიდგომების შესაბამისად. დარგის განვითარების ხელშეწყობა მასში არსებული პრობლემატური საკითხების ეფექტურად გადაჭრის გზით.
- პროფესიონალების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ახალი ცოდნის შექმნის მიზნით ინოვაციური კვლევების განხორციელებას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებისა და პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვით. პოლიტიკის მეცნიერების სფეროში აქტუალურ და პრობლემატურ საკითხებზე კვლევითი პროექტების დამოუკიდებლად დაგეგმვას, წარმართვას და განხორციელებას, მათ შორის ინტერდისციპლინარულ კონტექსტში.

- სწავლა/სწავლების უახლესი მეთოდების და სტრატეგიების მცოდნე კვალიფიციური პროფესიონალის მომზადება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, რომლებიც სტუდენტებს საკუთარ ცოდნასა და უნარებს გადასცემენ, აქედან გამომდინარე ხელს შეუწყობენ მომავალი თაობის პროფესიულ განვითარებას და შესაბამის წვლილს შეიტანენ საზოგადოებრივ წინსვლაში;
- პოლიტიკის მეცნიერების სფეროში სამეცნიერო კვლევის შედეგების საზოგადოებრივი პრობლემების მართვის მიზნით გამოყენების უნარის მქონე პროფესიონალების მომზადება - პროგრამის მიზანია ისეთი პროფესიონალების მომზადება, ვისაც აქვს სამეცნიერო პროდუქციის სოციეტალური პრობლემების ინოვაციური გადაწყვეტის მიზნით გამოყენებისა და კვლევის შედეგების საზოგადოებისთვის სასარგებლო და განვითარებაზე ორიენტირებულ პროექტებში ტრანსფორმაციის უნარი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა :

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს პირს, რომელიც ფლობს მაგისტრის, ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს შემდეგ დარგებში: პოლიტიკის მეცნიერება, საერთაშორისო ურთიერთობები, ეკონომიკა, თავდაცვა და უსაფრთხოება, საჯარო მმართველობა, სოციოლოგია, ანთროპოლოგია, ისტორია, საზოგადოებრივი გეოგრაფია.

პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება ინგლისურ ენაში გამოცდის და დარგობრივ/მიმღებ კომისიასთან გასაუბრების საფუძველზე.

დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა, რაც უნდა დადასტურდეს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდით ან შესაბამისი ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატით (TOEFL (P/B 513 score; I/BT 87score); IELTS (5.5 Band); FCE; BEC Vantage; PTE (General level 3); PTE Academic (59p); Michigan ECCE).

ინგლისური ენის გამოცდისგან ან შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენის ვალდებულებისგან თავისუფლდება დოქტორანტობის კანდიდატი, თუ მას საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ, საბაკალავრო ან მომდევნო საფეხურის პროგრამა დასრულებული აქვს ინგლისურ ენაზე.

დოქტორანტობის კანდიდატმა ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სოციალურ მეცნიერებათა სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით მოთხოვნილ საბუთებთან ერთად, უნდა წარმოადგინოს კვლევითი პროექტი არანაკლებ 1000 სიტყვის მოცულობით, რომელშიც წარმოდგენილი უნდა იყოს პოლიტიკის მეცნიერების სფეროსთვის რელევანტური შესასწავლი საკითხის სამეცნიერო სიახლე და აქტუალობა და სავარაუდო კვლევის მეთოდოლოგიური ჩარჩო.

გასაუბრებისას მხედველობაში მიიღება: მოტივაცია, დარგის ცოდნის დონე, წარმოდგენილი კვლევითი პროექტის სიახლე და შინაარსობრივი/მეთოდოლოგიური გამართულობა, არსებული პროფესიული გამოცდილების თავსებადობა სადოქტორო პროგრამის მიზნებთან და სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნების გამოცდილება.

დარგობრივი საკითხების ჩამონათვალი, ინგლისური ენის ტესტის ნიმუშთან ერთად განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე, მისაღებ წინაპირობებში.

სადოქტორო პროგრამის შესაძლო საკვლევი თემატიკა

პოლიტიკის მეცნიერების დარგისთვის შესაბამისი საკვლევი თემები განისაზღვრება შემდეგი ჩამონათვალით:

1. სამოქალაქო საზოგადოება და დემოკრატიზაცია
2. პოლიტიკური სისტემა და პოლიტიკური საზოგადოება
3. გარდამავალი რეჟიმები
4. ჰიბრიდული რეჟიმები
5. დემოკრატიული რეფორმები
6. ლიბერალიზაცია
7. პოსტ-საბჭოთა ქვეყნების პოლიტიკური სისტემები
8. პოლიტიკური პარტიების წარმოშობა, განვითარება და როლი თანამედროვე მსოფლიოში
9. სამოქალაქო კონფლიქტები
10. ეთნორელიგიური ურთიერთობები და პოლიტიკური/საზოგადოებრივი ჩართულობის პრობლემატიკა
11. ქალებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში
12. გარემოსდაცვითი პრობლემატიკა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ კონტექსტში თანამედროვე ეპოქაში
13. საარჩევნო სისტემები და მათი გავლენა პოლიტიკურ საზოგადოებაზე
14. კონსტიტუციური მოწყობის ფორმები და მათი გავლენა პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებაზე
15. ფედერალიზაციისა და დეცენტრალიზაციის გავლენა სამოქალაქო და ეთნორელიგიური კონფლიქტების დარეგულირებასა და მართვაზე
16. საერთაშორისო ვაჭრობა და ძალთა ბალანსი
17. ახალი მსოფლიო წესრიგი
18. ლიბერალური მშვიდობა და მისგან გამომდინარე პროცესები და შედეგები
19. საერთაშორისო მოვლენების ანალიზი პოლიტიკური რეალიზმის სხვადასხვა ნაირსახეობების მიხედვით
20. საერთაშორისო მოვლენების ანალიზი პოლიტიკური რეალიზმის კონსტრუქტივიზმის მიდგომების გამოყენებით
21. რაციონალური არჩევანის თეორია საერთაშორისო ურთიერთობებში
22. თამაშების თეორიის გამოყენება შიდა და საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების ანალიზისთვის
23. ომისა და მშვიდობის სტრატეგიები
24. დიდი სტრატეგიის გამოყენება და ანალიზი
25. ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება საერთაშორისო სისტემაში
26. ლიდერი საერთაშორისო და შიდა პოლიტიკურ არენაზე
27. მეთოდოლოგიების ევოლუცია საერთაშორისო ურთიერთობებში
28. პოლიტიკური რისკების ანალიზი
29. ქვეყნის რისკების ანალიზი; სხვადასხვა მოდელები
30. საგარეო პოლიტიკის ანალიზი
31. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციები

32. ტერორიზმის ევოლუცია, გამოწვევები და საფრთხეები
33. საგარეო დაზვერვა და კონტრდაზვერვა ისტორიულ და თანამედროვე ასპექტში
34. კიბერუსაფრთხოების საკითხები
35. არასახელმწიფოებრივი აქტორები საერთაშორისო არენაზე
36. ერისა და სახელმწიფოს გენეზისისა და განვითარების საკითხები
37. ნაციონალიზმის საკითხები
38. იდეოლოგიები და პოლიტიკური კონკურენცია
39. პოპულიზმი და რადიკალიზაცია თანამედროვე ეპოქაში
40. პოლიტიკური რეჟიმები
41. ინსტიტუციების თეორიები და ინსტიტუციების როლი პოლიტიკაში, პოლიტიკურ ეკონომიკასა და საერთაშორისო ურთიერთობებში
42. პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობისა და ჩართულობის საკითხები

ჩამონათვალი არ ამოწურავს პოლიტიკის მეცნიერების სფეროში არსებულ კვლევის საკითხებს

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება

- ზედმიწევნით აღწერს დარგში არსებულ თეორიებსა და კონცეფციებს, სიახლეებსა და პრობლემებს, გამოკვეთს მათი კრიტიკული ანალიზის თანამედროვე მიდგომებს. სისტემურად და კრიტიკულად განსაზღვრავს დარგში არსებულ პრობლემებს პოლიტიკის თეორიების კონტექსტში. გამოკვეთს პოლიტიკის მეცნიერების ინტერდისციპლინარულ კონტექსტს და მის კავშირს სხვა დისციპლინებთან;

- სისტემურად აღწერს პოლიტიკის მეცნიერების სფეროში არსებული პრობლემური საკითხების შესაბამის კვლევის მეთოდოლოგიასა და მეთოდებს, ანალიზის შესაბამის ტექნიკებს. დარგში ახალი ცოდნის გენერირების მიზნით, სისტემურად განსაზღვრავს როგორც კვლევის წარმოების პროცესის დაგეგმვის, ასევე ინოვაციური და ორიგინალური მიდგომებით მართვის ეტაპებსა და ინსტრუმენტებს;

- გამოკვეთს სამეცნიერო კვლევის საფუძველზე მიღებული შედეგებისა და შესაბამისი მონაცემების საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გამოყენების პოტენციალს, საზღვრებსა და პოლიტიკის მეცნიერების სფეროსთვის შესაბამის, განვითარებაზე ორიენტირებულ, ინოვაციურ პროექტებში მათი ასახვის ინსტრუმენტებს.

უნარი

- კრიტიკულად და სისტემურად აანალიზებს პოლიტიკის მეცნიერების დარგში არსებულ კომპლექსურ პრობლემებს და მათი ეფექტურად დაძლევის მიზნით, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, ახორციელებს ახალი ცოდნის გენერირებაზე ორიენტირებულ კვლევას;

- თეორიულ-კონცეპტუალური მიდგომების, ემპირიულად გადამოწმებად ჰიპოთეზებისა და დაშვებებზე დაყვანითა და კვლევის მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების, მათ შორის ინოვაციური მიდგომების გამოყენებით, ახალი იდეებისა და მიდგომების გენერირებით, გეგმავს და ახორციელებს სამეცნიერო კვლევას. ქმნის ახალ ცოდნას პოლიტიკის მეცნიერების დარგში, რომელსაც გარკვევით წარმოაჩენს და გადასცემს ქართულ და ინგლისურ ენაზე როგროც კოლეგებს, ასევე ფართო საზოგადოებას და მონაწილეობს თემატურ დისკუსიებში.

- სწავლების უახლეს მეთოდების, სტრატეგიების და ინოვაციური მიდგომების გამოყენებით წარმართავს სასწავლო კურს პოლიტიკის მეცნიერების ან მომიჯნავე დარგებში და გადასცემს ცოდნას სტუდენტებსა და დაინტერესებულ საზოგადოებას.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- კვლევითი პროექტებისა და განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებების დამოუკიდებლად მართვის პროცესში ხელმძღვანელობს მკაფიოდ განსაზღვრული ღირებულებათა სისტემით, კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემითა და პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვით.

- დარგში არსებული ინოვაციური ცოდნისა და უახლესი მიღწევების სინთეზირებით წარმართავს როგორც აკადემიურ, აგრეთვე პროფესიულ საქმიანობას და საკუთარი წვლილი შეაქვს პოლიტიკის მეცნიერების დარგის განვითარებაში.

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა N1

პროგრამის მიზნები				
სწავლის შედეგები	მიზანი 1	მიზანი 2	მიზანი 3	მიზანი 4
ცოდნა გაცნობიერება				
სწავლის შედეგი 1	√		√	
სწავლის შედეგი 2	√	√		√
სწავლის შედეგი 3	√	√	√	√
უნარი				
სწავლის შედეგი 1	√	√	√	
სწავლის შედეგი 2	√	√		√
სწავლის შედეგი 3			√	
ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა				
სწავლის შედეგი 1		√	√	√
სწავლის შედეგი 2	√			√

სწავლება -სწავლის მეთოდები:

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში გამოყენებული ძირითადი სწავლება-სწავლის მეთოდები გულისხმობს ლექციას, ჯგუფურ მუშაობას, პრაქტიკულ მუშაობას, სემინარს, ელექტრონული რესურსით სწავლებას. არსებული სალექციო კურსების სილაბუსები ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ სხვადასხვა მეთოდს, რაც ეყრდნობა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს. გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია როგორც ცოდნის გაფართოებაზე, ასევე საჭირო უნარებისა და პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის განვითარებაზე. სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს და თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს.

სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და ავითარებს სტუდენტის ტრანსფერულ უნარებს.

სასწავლო კურსის მიზნისა და მისაღწევი შედეგების შესაბამისად, სწავლება-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია ინტერაქციული მიდგომების დანერგვაზე სწავლების პროცესში, რაც გულისხმობს მრავალფეროვანი სტრატეგიებისა და აქტივობების გამოყენებას სხვადასხვა კურსების საკითხების, კურსის, როგორც მთლიანობის და პროგრამის მიზნების გათვალისწინებით. სალექციო სწავლების გარდა, პროცესი დაეფუძნება დისკუსიისა და დებატების მეთოდებს, თანამშრომლობით (cooperative) სწავლებას, ჯგუფურ (collaborative) მუშაობას დოქტორანტების აქტიური ჩართულობის, სამომავლო აკადემიური და პედაგოგიური საქმიანობის მიზნების გათვალისწინებით.

პროგრამის ფარგლებში დიდი ყურადღება ექცევა დოქტორანტების პრაქტიკულ ჩართულობას, კრიტიკული და მეტა-კოგნიტური უნარების განვითარებას, რეფლექსიების, აკადემიური ჩანაწერების. პროგრამა ასევე ითვალისწინებს პროექტებზე დაფუძნებული სწავლების, ურთიერთსწავლებისა და ურთიერთშეფასების გამოყენებას სწავლებაში. პროგრამაში გამოიყენება დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, მოხსენება, დედუქცია-ინდუქცია, როლური თამაშები, სიმულაციები, გონებრივი იერიშის ტექნიკა, შემთხვევების ანალიზი (Case study), პანელური განხილვები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL).

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა აქტივობას კონკრეტული სასწავლო მიზნიდან გამომდინარე.

დასაქმების სფერო:

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დაიკავოს მკვლევრის/ანალიტიკოსის პოზიცია კვლევით დაწესებულებებში, არასამთავრო, სამთავრობო, კერძო და სხვა ორგანიზაციებში, ასევე აკადემიური თანამდებობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვებიან, როგორც უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები. ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ №3 დანართში.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი:

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და

მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ: სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზი; კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა; კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები; სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით, საერთაშორისო ელექტრონული ბაზებით, რომელიც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის მიღმაც და უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.

პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი:
პროფესორი ბაკურ კვაშილავა
ტელ: (995 32) 249 74 75
მობ: +995 599 420 794
ელ.ფოსტა: b.kvashilava@gipa.ge

პროგრამის ადმინისტრაციული ხელმძღვანელი:
პროფესორი ნათია ჭიღვარია
მობ: +995 577 728 228
ელ.ფოსტა: n.tchigvaria@gipa.ge

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და სასწავლო გეგმა

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო (60 ECTS) და კვლევითი კომპონენტებისგან. **სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი** მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში და ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის და ამავდროულად ორიენტირებულია გამოუმუშავოს მას სამეცნიერო კვლევის შედეგების საფუძველზე სამეცნიერო, მათ შორის, რეფერირებად ჟურნალში გამოსაქვეყნებელი პუბლიკაციის სტანდარტების შესაბამისი, პროდუქციის შექმნის, კვლევითი პროექტების მართვისა და სამეცნიერო კვლევის შედეგების საზოგადოებრივი პრობლემების მართვის მიზნით გამოყენების უნარები. **სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი** მიზნად ისახავს დოქტორანტისთვის სამეცნიერო კვლევითი უნარების ჩამოყალიბებას, რაც საბოლოოდ სრულდება სადისერტაციო ნაშრომის წარდგენით. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წინაპირობას და კვლევის პროცესის ხარისხის უზრუნველყოფას წარმოადგენს პროსპექტუსისა და კოლოქვიუმის დაცვა. ასევე, ორი რეფერირებადი პუბლიკაციის გამოქვეყნება ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სოციალურ მეცნიერებათა სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების მოთხოვნების დაცვით. **პროსპექტუსი**

წარმოადგენს მეორეული ლიტერატურის შესწავლისა და პრობლემური საკითხის შესახებ შეგროვებული, მეორეული მონაცემების საფუძველზე განხორციელებული კვლევის შედეგებს. იგი სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი მონახაზია, რომელშიც მოცემულია საკვლევი საკითხის სიახლე და აქტუალობა, შერჩეული თემის სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულებების ლოგიკური განმარტება და დასაბუთება, კვლევის საზღვრები, ფოკუსი, მიზნები, ამოცანები და კვლევის კითხვა/კითხვები, შესაბამისი თეორიულ კონცეპტუალური საფუძვლებით. **კოლოქვიუმი** არის სადისერტაციო კვლევის ნაწილი, ერთი დასრულებული თავის სახით, რომელიც უნდა ასახავდეს სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში განხორციელებული თვისებრივი, რაოდენობრივი ან შერეული კვლევის საფუძველზე შეგროვებული მონაცემების და ანალიზის შედეგებს. კოლოქვიუმს თან უნდა ახლდეს მოკლე შესავალი ნაწილი, რომელშიც ასახული იქნება სადისერტაციო ნაშრომის მიზანი და ამოცანები წარმოდგენილ კვლევის შედეგების შესაბამისობის დადგენისთვის. ამავდროულად, კოლოქვიუმის თემა მოიცავს მონაცემების შეგროვების, ანალიზის მეთოდების და ტექნიკების დეტალურ აღწერას. შესაბამისად, საკოლოქვიუმო ნაშრომის ფარგლებში წარმოდგენილ შედეგებს გააჩნია მეცნიერული ღირებულება თეორიული და ემპირიული თვალსაზრისით.

სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს დოქტორანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო- კვლევითი მუშაობის შედეგს. იგი უნდა ასახავდეს თეორიული და ემპირიული კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ შედეგებს და წყვეტდეს აქტუალურ სამეცნიერო პრობლემას, ახასიათებდეს მეცნიერული სიახლე და წვლილი შეჰქონდეს პოლიტიკის მეცნიერების დარგის განვითარებაში. დოქტორანტის დამოუკიდებელი, კვლევითი საქმიანობა ორიენტირებულია მეცნიერულ თვითგანვითარებაზე, რომელიც ხორციელდება სამეცნიერო ხელმძღვანელის ზედამხედველობით.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასება წარმოებს ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	ECTS კრედიტი/საათი						სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	
			I წელი		II წელი		III წელი		სულ	ლექციათა და სემინარების
			სემესტრი							
			I	II	III	IV	V	VI		
			18	17	15	10				
სასწავლო კომპონენტი		სპეციალობის სავალდებულო საგნები								
PhDRSW02	არ გააჩნია	პოლიტიკის მეცნიერების ფუნდამენტური თემები და მიმდინარე დებატები	8						48	152
PhD102	არ გააჩნია	კვლევა და სამეცნიერო წერა	5						39	86
PhD103	არ გააჩნია	სწავლება/სწავლის თანამედროვე მეთოდები და სტრატეგიები	5						42	83
PhD104	PhDRSW02 PhD102, PhD103	თვისებრივი კვლევის მეთოდები		5					36	89
PhD105	PhDRSW02 PhD102, PhD103	რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და რაოდენობრივი მონაცემების სტატისტიკური ანალიზი		7					60	115
PhD106	PhDRSW02 PhD102, PhD103	პროფესორის ასისტენტობა			5				30	95
PhD107	PhD104, PhD105	სადოქტორო სემინარი I (პოლიტიკის მეცნიერების სპეციფიური თემის დამუშავება)			10				18	232
PhD108	PhDRSW02 PhD102, PhD103	მეცნიერების მენეჯმენტი და ფონდების მოძიება		5					32	93
		სპეციალობის არჩევითი საგნები				10				

PhD201	PhD107	სადოქტორო სემინარი II (პოლიტიკის მეცნიერების სპეციფიური თემის დამუშავება)				10			18	232
PhD203	PhDRSW02 PhD108	საერთაშორისო გაცვლით პროგრამის ფარგლებში გავლილი რელევანტური კურსი/ები				10				
		კვლევითი კომპონენტი								
PhD301	სასწავლო კომპონენტი	პროსპექტუსი					კი/ არა			
PhD302	პროსპექტუსი	კოლოქვიუმი						კი/ არა		
PhD303	პუბლიკაციები, კოლოქვიუმი	სადისერტაციო ნაშრომი								

ცხრილი N3: სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა

რუკაზე წარმოდგენილია სწავლის შედეგები სავალდებულო საგნებთან მიმართებით, რომლებიც თავის მხრივ ჩაშლილია სამ (3) დონედ: ა) I (Introduction) - გაცნობითი დონე, ბ) D (Development of knowledge) - ცოდნის გაღრმავება, გ) M (Mastering) - ცოდნის განმტკიცება. პროგრამა ასევე ითვალისწინებს პრაქტიკულ კომპონენტს - P (Practical application of knowledge/research). ასევე შესაძლებელია, რომ სასწავლო კურსი გადიოდეს განვითარებისა და პრაქტიკის (DP) ან გაღრმავებისა და პრაქტიკის (MP) დონეზე.

სასწავლო კომპონენტი	სწავლის შედეგი 1	სწავლის შედეგი 2	სწავლის შედეგი 3	სწავლის შედეგი 4	სწავლის შედეგი 5	სწავლის შედეგი 6	სწავლის შედეგი 7	სწავლის შედეგი 8
სავალდებულო საგნები								
პოლიტიკის მეცნიერების ფუნდამენტური თემები და მიმდინარე დებატები	I	I	I	IP	I			I
კვლევა და სამეცნიერო წერა	I				I	I		I
თვისებრივი კვლევის მეთოდები	D		D	DP	D	DP	I	D
რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და რაოდენობრივი მონაცემების სტატისტიკური ანალიზი	D		D	DP	D	DP	D	D
სწავლება/სწავლის თანამედროვე მეთოდები და სტრატეგიები							DP	
პროფესორის ასისტენტობა	D					DP	DP	
სადოქტორო სემინარი I	D	D		DP	DP	DP	DP	DP
მეცნიერების მენეჯმენტი და ფონდების მოძიება	D		MP				DP	DP
სამეცნიერო კომპონენტი								
პროსპექტუსი	DP	DP		DP	DP	DP	DP	DP
კოლოქვიუმი	DP	DP		DP	DP	DP	DP	DP
სადისერტაციო ნაშრომი	M	M		M	M	M	M	M

დანართი N1

სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელის რეზიუმე (CURRICULUM VITAE)

ბაკურ კვაშილავა

ელფოსტა: b.kvashilava@gipa.ge

განათლება

ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი; თბილისი, საქართველო;

- დოქტორი სოციალურ მეცნიერებებში; დისერტაციის სათაური: კონსტიტუციური წყობისა და საარჩევნო სისტემის გავლენა პოლიტიკური პარტიების განვითარებაზე პოსტსოციალისტური ევროპის დემოკრატიებში

იელის უნივერსიტეტი, ნიუ ჰევენი, კონექტიკუტი, აშშ
- ხელოვნების მაგისტრი საერთაშორისო ურთიერთობებში (2003)
- კონცენტრაცია: პოლიტიკური რისკის ანალიზი; აღმოსავლეთ ევროპა და დსთ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო;

- დიპლომი წარჩინებით საერთაშორისო ურთიერთობებში (1999)
- კვალიფიკაცია: საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი

სამსახურეობრივი და სასწავლო გამოცდილება

2015 – ჯიპა- საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი;

პოლიტიკური მეცნიერებების პროფესორი

სხვადასხვა დროს ასწავლიდა და ასწავლის შემდეგ საგნებს: შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში, შედარებითი პოლიტიკა, საარჩევნო სისტემა, პოლიტიკური პარტიები და იდეოლოგიები

ჩატარებული აქვს და ატარებს სემინარებსა და ტრენინგებს შემდეგი მიმართულებებით: პოლიტიკური რისკის ანალიზი, საერთაშორისო ურთიერთობები და საქართველო საგარეო პოლიტიკა, სტრატეგიული დაგეგმვა პოლიტიკური პარტიებისთვის, პოლიტიკის ანალიზი და სხვადასხვა ტრენინგები პოლიტიკური პარტიებისთვის

10/2007 – ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

სამართლისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი

- საერთაშორისო ურთიერთობებისა და შედარებითი პოლიტიკის კურსების ლექტორი
- სკოლის ყოველდღიური საქმიანობის ადმინისტრაციული ხელმძღვანელობა
- სკოლის სტრატეგიული გეგმის შემუშავება და მონიტორინგი
- ლექტორების და პროფესორების შერჩევაში მონაწილეობა
- სკოლის პროგრამების კურიკულუმის შემუშავება-მოდიფიკიციაში მონაწილეობა
- ინსტიტუტის სტრატეგიული გეგმის შექმნასა და განხორციელებაში მონაწილეობა

12/2005 – 10/2007 ეუთო-ს მისია საქართველოში

უფროსი თანაშემწე პროექტების კოორდინაციაში

- ეუთო-ს პარტნიორი ორგანიზაციების მიერ შესრულებული სამუშაოს შინაარსობრივი მონიტორინგი
- ეუთო-ს პარტნიორი ორგანიზაციების რეიტინგის შედგენაში მონაწილეობა
- პარტნიორი ორგანიზაციებისთვის რეკომენდაციების შემუშავება

03/2004 – 11/2005 იბერია ბიზნეს ჯგუფი
“ ExxonMobil Lubricants and Specialties” წარმომადგენელი

- კომპანიის მიერ განხორციელებული ტრანზაქციების ხელმძღვანელობა
- გაყიდვების მართვა
- ფასწარმოქმნაში მონაწილეობა
- კომპანიის სამარკეტინგო პოლიტიკის დაგეგმვა განხორციელება
- კომპანიის ადმინისტრაციული ხელმძღვანელობა
- სათაო ოფისთან და კორპორატიულ კლიენტებთან ურთიერთობა

02/2003 – 09/2003 იელის უნივერსიტეტი ნიუ ჰევენი, კონექტიკუტი, აშშ
მკვლევარი

ნავთობისა და გაზის წარმოების შესახებ მასალების მოძიება და სტატისტიკური ანალიზი იელის უნივერსიტეტისა და ქოულზის ფონდის პროექტისათვის "G-Energy". პროექტის ხელმძღვანელი იელის უნივერსიტეტის ეკონომიკის სტერლინგის სახელობის პროფესორი უილიამ დ. ნორდჰაუზი

06/2002 – 08/2002 ეკონომიკური სტრატეგიის ინსტიტუტი ვაშინგტონი, აშშ
ინტერნი

- მსოფლიოში ენერგიის წარმოების და მოხმარების ძირითადი ტენდენციები კვლევა და ანალიზი
- აშშ-ს, ევროკავშირისა და იაპონიის ენერგობაზრების შედარებითი ანალიზი
- აშშ-ს სპარსეთის ყურის ნავთობზე ეკონომიკური დამოკიდებულების ხარისხის ანალიზი

08 1999 _ 08/2001 საქართველოს პრეზიდენტის აპარატი თბილისი

საგარეო პოლიტიკის სამსახურის რეფერენტი
- საქართველოს პრეზიდენტისათვის მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური ინფორმაციისა და ანალიზის მიწოდება
- საქართველოს პრეზიდენტის სასაუბროების მომზადება უცხოელ დიპლომატებთან და მოღვაწეებთან შეხვედრებისათვის
- საქართველოს პრეზიდენტსა და უცხო ქვეყნების წარმომადგენლებს შორის გამართულ შეხვედრებსა და მოლაპარაკებებზე დასწრება
- არქივებისა და ჩატარებული შეხვედრების ანალიზის მომზადება

- საქართველოს პრეზიდენტისათვის მნიშვნელოვან პოლიტიკურ, ეროვნული უსაფრთხოებისა და ეკონომიკის საკითხებზე მასალების მომზადება
- უცხო ქვეყნებში საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტისას დელეგაციის შემადგენლობაში საჭირო მასალებისა და დოკუმენტების მომზადება

კვლევები და პუბლიკაციები

Needs Assessment of Civil Society Organizations in Georgia – The EWMI ACCESS funded policy paper with Khatia Gogilashvili and Zviad Barkaia. January 9, 2020. http://ewmi-access.org/wp-content/uploads/2020/01/CSO-ASSESSMENT_ENG_FInal.pdf

The Political Constraints of Civil Service Reform: in Georgia: History, Current Affairs, Prospects, and Challenges. Caucasus Survey. Volume 7, Issue 3, 2019

Ranking of Gender Equality among Political Parties of Georgia – The NIMD research paper with Khatia Gogilashvili and Zviad Barkaia 2018. Also available online at – http://eecmd.org/wp-content/uploads/2018/12/Gender-Ranking-of-PPs_EECMD_2018.pdf

Strengthening Electoral and Political Processes in Georgia – USAID Final Performance Evaluation with Seab R. Roberts and Khatuna Ioseliani. August, 2018. Available online at – https://pdf.usaid.gov/pdf_docs/PA00T9HS.pdf

Proportional Electoral System: The Only Optimal Way for Georgia's Democratic Development – The GFSIS Opinion Paper #78, 2017. Also available online at http://gfsis.org/library/view-opinion-paper/78

Ranking of Gender Equality among Political Parties of Georgia – The NIMD research paper with Khatia Gogilashvili, 2017. Also available online at – https://issuu**.com/nimd_een/docs/gender_ranking_2017_nimd**

The Impact of Constitutional Choice on Elections and the Development of Political Society – A chapter in "From Superpresidential to Parliamentary Republic: Constitutional Choices in Georgia"
Ilya University Press: Tbilisi 2013. ISBN 978-9441-18-172-6

Cooperation Challenges and Perspectives across De-Facto Borders – A chapter in "Building Confidence in the South Caucasus: EU's and NATO's Soft Security Initiatives". Vienna July, 2013. ISBN 978-3-902944-17-7. Also available at https://www.files.ethz.ch/isn/170000/pfpc_7th_rssc_study1.pdf

Rogue Nation by Clyde V. Prestowitz. Contributed to the fourth chapter of the book that describes and explains energy consumption trends in the United States. Basic Books. 2004. ISBN: 978-0465062805.

უცხო ენები
ქართული, ინგლისური, რუსული, ესპანური

სხვა

ედმუნდ მასკის სახელობის სტიპენდიანტი 2001-2003 იელის უნივერსიტეტი, აშშ
სოროსის ფონდის სტიპენდიანტი 1997-1998 ბარდ კოლეჯი, აშშ

დანართი N2

სადოქტორო პროგრამის ადმინისტრაციული ხელმძღვანელის რეზიუმე (CURRICULUM VITAE)

ნათია ჭიღვარია

ელფოსტა: n.tchigvaria@gipa.ge

მიმდინარე საქმიანობა:

- ჯიპა_ საზოგადოებრივ საქმეთა ინსტუტის საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამების ადმინისტრაციული ხელმძღვანელი; პროფესორი;

- სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის
  უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი;
- ინგლისური ენის ლექტორი; საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA);

განათლება

- 2010 წელი_ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი; დასავლეთ ევროპული ენებისა და ლიტერატურის დეპარტამენტი; აკ.წერეთლის სახელობის ქუთისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- 2010 წელი_ სერტიფიცირებული კურსი პროექტის მენეჯმენტში; მართვის აკადემია;
- 2007წელი_ საერთშორისო პოლიტიკის მაგისტრი; ჯიპა; სამართლის და პოლიტიკის სკოლა;
- 1998 წელი_ სამართალმცოდნეობის მაგისტრი; აკ.წერეთლის სახელობის ქუთისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი;
- 1997 წელი_ ინგლისური ენის და ლიტერატურის მაგისტრი; აკ.წერეთლის სახელობის ქუთისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ენების ცოდნა

- ქართული: მშობლიური
- რუსული: თავისუფლად
- ინგლისური: თავისუფლად

კომპიუტერის ცოდნა:

- საბაზისო კომპიუტერული პროგრამების მცოდნე: MICROSOFT WORD, EXCEL, INTERNET EXPLORER, POWER POINT

ტრენინგები, სემინარები, სერტიფიცირებული კურსები:

- 2020 European Quality Assurance Forum “Towards flexible higher education implications for QAorganized by EUA
- 2017 სექტემბერი_ სემინარი: „ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის ადაპტაციის და კლიმატის ცვლილების შერბილების ადვოკატირების შესაძლებლობების გაძლიერება და მდგრადი მიწის მენეჯმენტი“ ორგანიზებული Georgia’s Environmental Outlook-ის მიერ
- 2017 ივლისი_ ტრენინგი „საუნივერსიტეტო კვლევის პროგრამა საჯარო პოლიტიკაში“. ჯორჯიის უნივერსიტეტი. აშშ
- 2017 ივნისი_მაკმილანის საგანმანათლებლო ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგი; თემები: გრამატიკა სიმოვნებისთვის, სტუდენტების მოტივაცია და მართვა: ცხოვრების უნარები ცხოვრებისთვის ახალგაზრდა შემსწავლელების მეტი ჩართულობისთვის, წიგნიერების უნარების გაზრდა ახალგაზრდებისთვის
- 2017 აპრილი_ სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია „სადოქტორო დისერტაციების ხარისხის ამაღლება, როგორც ქვეყნის ინოვაციური პოტენციალის ზრდის შესაძლებლობა“. მოხსენების სათაური_სადოქტორო პროგრამების ინტეგრაცია საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში.
- 2017 იანვარი_ ტრენინგი „განათლების და სწავლების მეთოდებში“ ტრენერი პროფესორი მეინ პიტერ ვან დიუკი, მაასტრიხტის მენეჯმენტის სკოლა; ჰოლანდია
- 2016 ივლისი_ ტრენინგი „როგორ გავუმკლავდეთ რთულ სტუდენტებს“ პროფესორი ტერი ანდერსონი; ტროი ალაბამას უნივერსიტეტი; ა.შ.შ
- 2014 აპრილი_ ტრენინგი აკადემიური წერის საკითხებში; ტრენერი პროფესორი კეროლ პარდუნი; სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტი
- 2014 ივნისი_ ტრენინგი სწავლების თანამედროვე მეთოდებში; ტრენერი პროფესორი კეროლ პარდუნი; სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტი
- 2014 სექტემბერი _სერტიფიკატი თანამედროვე სწავლების მეთოდებში; პროფესორი რობი ჯეფერსონ ჯორჯი; ჩრდილოეთ ტეხასის უნივერსიტეტი; ა.შ.შ
- 2013 ოქტომბერი_ტრენინგი სწავლების თანამედროვე მეთოდებში; ტრენერი პროფესორი კენდრა ოლბრაიტი; სამხრეთ კაროლინის უნივერსიტეტი; ა.შ.შ
- 2013 აგვისტო_ ტრენინგი სწავლების თანამედროვე მეთოდებში და ეფექტურ კომუნიკაციაში; ტრენერები თორნიკე გურული, ლევან ზარდალიშვილი.
- 2012 წლის მარტი _ სერტიფიცირებული ტრენინგი შექსპირიდან დიკენსამდე. ტრენერი: ლუკა პრომოდუ ოქსფორდის უნივერსიტეტი
- 2013 თებერვალი _ა.შ.შ სახელმწიფო დეპარტამენტის პროგრამა „საერთაშორისო ვიზიტორების ლიდერობის პროგრამა“ მონაწილე უნივერსიტეტების ფონდების

- 2010 წელი _ სერტიფიკატი პროექტის მენეჯმენტში. ტრენერი ალექსანდრე ჯეჯელავა. მართვის აკადემია
- 2009 წლის აპრილი _ საგანმანათლებლო ინსტიტუტის ლიდერების ჩართვა ფონდების მოძიებაში. ტრენერი მაიკლ გუდვინი, ორეგონის უნივერსიტეტი. ა.შ.შ
- 2008 წლის მარტი _ სემინარი ნატო სამხრეთ კავკასია. ფრიდრიჰ ნიუმანის სახელობის ფონდი

პროექტები

- 2021- მიმდინარე პროექტი; თარჯიმანი; აშშ-ს საელჩოს მიერ დაფინანსებული წიგნის თარგმანის პროგრამა საქართველოში; სახელმძღვანელო: „ორგანიზაციული ქცევა: კვალიფიციური მიდგომა"; ავტორები: დოქტორი ქრისტოფერ პ ნეკი; დ ჰოუტონი
- 2019-2021 _ ტრენერი და ავტორი ინტენსიური სასწავლო კურსის: ინგლისური ენის უნარების გაუმჯობესება ეთნიკური უმცირესობებისთვის; პროექტი „სოფლის განვითარების ახალი მიდგომის ხელისშეწყობა ახალქალაქში" დონორი_ ENPARD Georgia
- 2019_ თარჯიმანი; აშშ-ს საელჩოს მიერ დაფინანსებული წიგნის თარგმანის პროგრამა საქართველოში; სახელმძღვანელო: „ოპერაციული მენეჯმენტი: პროცესები და მომარაგების ჯაჭვი", ავტორები: ლი კრაჯევსკი, მანოჯი მალჰოტა.
- 2018_ თარჯიმანი; აშშ-ს საელჩოს მიერ დაფინანსებული წიგნის თარგმანის პროგრამა საქართველოში; სახელმძღვანელო: „მეწარმეობა_ახალი საწარმოს წარმატებით წამოწყება" ავტორები: ბრუს ბარინგერი; რ. დუან აირლენდი;"
- 2020 აგვისტო-სექტემბერი_ ტრენერი და ავტორი ინტენსიური სასწავლო კურსის: ქართულ ტექსტთან მუშობის უნარჩვევების გაუმჯობესება ეთნიკური უმცირესობისთვის; პროექტი „სოფლის განვითარების ახალი მიდგომის ხელისშეწყობა ახალქალაქში" დონორი_ ENPARD Georgia;.
- 2020_ ავტორი და ტრენერი ტრენინგ პაკეტის „მთავარი გარემოსდაცვითი გამოწვევები"; პროექტის პარტნიორები_ „People in Need" ENPARD; Czech Republic Development Cooperation; GIPA
- 2018- დღემდე: ჯიპას აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი პროექტში: "Raising Research Capacity of Georgian HEIs through Developing R&D Units (HERD)"_ ერაზმუს+ KA2 პროგრამა.
- 2019 ოქტომბერი-დეკემბერი_ ტრენინგი და ავტორი ტრენინგ პაკეტის პროფესიული ინგლისური გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სფეროში; გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლებისთვის; პროექტი FAO-ს და GIPA-ს ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრის პარტნიორობით;
- 2014-2016 _ "Ares Vivendi" _ პროექტის დირექტორი; ბავშვების და ახალგაზრდების ჯანსაღი მომავლისთვის კვლევის და განვითარების მხარდაჭერის ცენტრი;

- 2010-2011_შეფასების და მონიტორინგის ექსპერტი; პროექტი: Turnaround Migration for Development; Georgian Diaspora for developments in Kutaisi; EC-UN Joint Migration & Development Initiative.
- 2009 _ მკვლევარი; რუსულ-ქართული კონფლიქტის კვლევის ჯგუფი; პროექტის პარტნიორი: ღია საზოგადოება საქართველოს ფონდი;

პუბლიკაციები

- 2021_ The author of chapter 9. "Do Mining Activities in Georgia Affect Local Public Health?"; Public Policy and Politics in Georgia_Lessons from Post-Soviet Past; სტატიების კრებული; ტომი 228.ISSN 1614-3515
- 2010 ქართულ-ოსური კონფლიქტის ქრონოლოგია. რუსულ-ქართული კონფლიქტის კვლევის ცენტრის პირველი გამოცემა.

სამუშაო გამოცდილება

- 2017 -დღემდე_ სოციალურ მეცნიერებთა სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი; საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
- 2017-დღემდე_ მმართველობითი საბჭოს მდივანი; საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
- 2017- დღემდე_პოლიტიკის ანალიზისა და შეფასების ცენტრის ხელმძღვანელი;საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
- 2017-დღემდე_ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი; სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
- 2012-2017_ სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის კოორდინატორი; საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი;
- 2008-2010_ბიზნეს ინგლისურის ინსტრუქტორი სახელმწიფო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა; საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
- 2011-2015_ ინგლისური ენის ლექტორი. ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამა; სოციალურ მეცნიერებათა საბაკალავრო პროგრამა; ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა; საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

- 2006-2011_საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის კოორდინატორი;საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
- 2007-2012_ სამართლისა და პოლიტიკის სკოლის მკვლევარი/ასისტენტისაქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
- 2010-2011_პროექტების TMDP და LDA კონსულტანტი; Georgia Foundation/Georgian Diaspora in the Netherlands
- 2002-2005_ ინგლისური ენის ინსტრუქტორი; საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი (CIT)
- 2002-2006_ ასისტენტ პროფესორი. დარგობრივი ლიტერატურის ისტორიის ლექტორი; კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი
- 1998-2001_საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორიის ლექტორიქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; დასავლეთ ევროპული ლიტერტურის კათედრა
- 1999-2001_ინგლისური ენის გრამატიკის ლექტორიქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; დასავლეთ ევროპული ენების კათედრა
- 2005; 2004; 2008_პერსონალური ასისტენტი/თარჯიმანი; OSCE/ODHIR
- საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები
- 1999_თარჯიმანი; ქუთაისი ნიუპორტის სერთაშორისო ასოციაცია

პროფესიული უნარები

- აკადემიური წერა
- პროექტის მენეჯმენტი
- ანალიტიკური უნარები
- აკადემიური პროგრამების და კურიკულუმის მართვა

დანართი N3 - ინფორმაცია პროგრამის ადამინური რესურსების შესახებ - პოლიტიკის მეცნიერება

№	სახელი, გვარი	აკადემიური/მოწვეული პერსონალი, სამეცნიერო ხარისხი	აფილირებული აკადემიური პერსონალი	სადოქტორო ნაშრომების სამეცნიერო ხელმძღვანელი	სასწავლო კომპონენტი
1.	ნანა მაჭარაშვილი	პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი	აფილირებული	ხელმძღვანელი	კვლევა და სამეცნიერო წერა; სადოქტორო სემინარი
2.	ბაკურ კვაშილავა	პროფესორი, სოციალური მეცნიერების დოქტორი	აფილირებული	ხელმძღვანელი	სადოქტორო სემინარი; თვისებრივი კვლევის მეთოდები; პოლიტიკის მეცნიერების ძირითადი თეორიე; პოლიტიკის მეცნიერების ფუნდამენტური თემები და მიმდინარე დებატები
3.	ნათია გორგაძე	ასოცირებული პროფესორი, განათლების დოქტორი	აფილირებული	ხელმძღვანელი	სადოქტორო სემინარი; სწავლება/სწავლის თანამედროვე მეთოდები და სტრატეგიები.
4.	ნიკოლოზ ესიტაშვილი	ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი	აფილირებული	ხელმძღვანელი	რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და რაოდენობრივი მონაცემების სტატისტიკური ანალიზი; სადოქტორო სემინარი
5.	თამარ ზურაბიშვილი	ასოცირებული პროფესორი, სოციოლოგიის დოქტორი	აფილირებული	-	რაოდენობრივი კვლევის მეთოდები და რაოდენობრივი მონაცემების სტატისტიკური ანალიზი; მეცნიერების მენეჯმენტი და ფონდების მოძიება; სადოქტორო სემინარი
6.	ნინო ცუხიშვილი	ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი	აფილირებული	-	სადოქტორო სემინარი
7.	ნათია იაკობიძე	ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი	აფილირებული	-	კვლევა და სამეცნიერო წერა
8.	კოტე ერისთავი	პროფესორი, ადამიანის უფლებათა თეორიის დოქტორი	აფილირებული	ხელმძღვანელი	სადოქტორო სემინარი
9.	ია ერაძე	ასოცირებული პროფესორი, სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი	აფილირებული	ხელმძღვანელი	სადოქტორო სემინარი
10.	ნინო აბზიანიძე	ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი	აფილირებული	ხელმძღვანელი	სადოქტორო სემინარი

11.	თორნიკე შარაშენიძე	პროფესორი, სოციალური მეცნიერების დოქტორი	აფილირებული	ხელმძღვანელი	სადოქტორო სემინარი,
12.	ნათია კუტივაძე	პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი	აფილირებული	-	სადოქტორო სემინარი
13.	მერაბ კაკულია	პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი	აფილირებული	ხელმძღვანელი	სადოქტორო სემინარი
14.	დავით ჯანდიერი	პროფესორი, სამართლის დოქტორი	აფილირებული	-	სადოქტორო სემინარი
15.	ვლადიმერ ნაფეტვარიძე	ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი	არააფილირებული	ხელმძღვანელი	სადოქტორო სემინარი
16.	მიხეილ თოქმაზიშვილი	ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი	არააფილირებული	ხელმძღვანელი	სადოქტორო სემინარი.
17.	შალვა ტაბატაძე	მოწვეული პერსონალი, განათლების მეცნიერებათა დოქტორი	-	-	მეცნიერების მენეჯმენტი და ფონდების მოძიება
18.	გიორგი მარგველაშვილი	პროფესორი, ფილოსფიის დოქტორი	არფილირებული	-	სადოქტორო სემინარი.
19.	ქეთავნ მუხიგული	პროფესორი, ფილოსფიის დოქტორი	არფილირებული	-	სადოქტორო სემინარი.
20.	თეა ქამუშაძე	ასისტენტ-პროფესორი, დოქტორი.	არფილირებული	-	სადოქტორო სემინარი.